

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

5 სექტემბერი 2019 წელი

12:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორმაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქითანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხივიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

/დანართი:N1/

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს:/გიგა გოგიბერიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბალების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: “ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე”

მომხსენებელმა განმარტა, რომ „მოგეხსენებათ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი აშენდა, მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირებელი იყო, შესაბამისი პროცედურები ეტაპობრივად წარიმართა, ამ ეტაპზე კი მინიციპალიტეტის მერისთვის საკრებულოს თანხმობაა საჭირო, რათა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე”;

(დანართი: განკარგულება N27 37)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ“. კერძოდ, წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტიდან ამოღებული იქნას N3-ე საბავშვო ბაღი, დაემატოს მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. „სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაცია, ვანის N1, N2, ამაღლების, ბზვანის, ზედა გორას, შუა გორას, დიხაშხოს, ქვედა გორას, ზედა ვანის, ზეინდრის, მთისძირის, მუქედის, სალხინოს, სალომინაოს, სულორის, ტობანიერის, ფერეთას, შუამთის, ციხესულორის, უხუთის, საპრასიის, ინაშაურის, ყუმურის, მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები“ და შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა აღნიშნული ცვლილების თაობაზე.“

მომხსენებელმა განმარტა, რომ წესდებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმით, რომ სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევის გამო გაუქმდა N3 საბავშვო ბალი, საიდანაც აღსაზრდელები და თანამშრომლები გადმოყვანილ იქნა N1 ბალში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაემატა 2 ბალი: მულუხის და მიქელეფონის საბავშვო ბალები, მულუხისა და მიქელეფონის საჯარო სკოლაში საბავშვო ბალისთვის გამოიყო ფართი. გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მულუხის საბავშვო ბალისათვის 64,315 ლარის ღირებულების, ხოლო მიქელეფონის საბავშვო ბალისათვის 40,129 ლარის ღირებულების.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბალების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

(დანართი: განკარგულება 27 38)

დღის წესრიგით წარმოდგენილ ინფორმაციებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამსახურის მუშაობის თავმჯდომარე

